

SuperFin სასწავლო კურსის ინსტრუქციები

ვერსია 2.041

[00-01 ორგანიზაციის მონაცემები](#)

[01-01 ანგარიშებისა და ქვეანგარიშების დამატება](#)

[01-02 საწყისი ნაშთების შეტანა ანგარიშზე \(ქვეანგარიშზე\)](#)

[01-03 საბუღალტრო ოპერაციის დამატება](#)

[01-05 ანგარიშზე მონაცემების დამატება](#)

[01-06 გადაფასების ოპერაციები](#)

[01-07 გადახურვითი ოპერაციები](#)

[01-08 ბალანსი](#)

[01-09 ბალანსის ფანჯარაში ანგარიშის დამატება](#)

[01-10 მოგება—ზარალის უწყისი](#)

[02-01 სალაროს შემოსავლის \(გასავლის\) ორდერის დამატება](#)

[02-02 საგადახდო დავალების დამატება](#)

[02-03 ხელფასის პარამეტრები](#)

[02-04 განყოფილების დამატება](#)

[02-05 მომსახურე პერსონალის დამატება](#)

[02-06 ხელფასის საბუთის შექმნა ინდივიდუალურად \(ერთი პირისათვის\)](#)

[02-07 ხელფასის უწყისის შექმნა ერთიანად \(ყველა თანამშრომელზე, განყოფილებაზე ან ნებისმიერ რამდენიმე თანამშრომელზე\)](#)

[03-01 საქონლისა და მასალების ჯგუფის დამატება](#)

[03-02 საქონლისა და მასალების ბარათის დამატება](#)

[03-03 საწყობის ბარათის დამატება](#)

[03-04 საწყისი ნაშთის შეტანა საქონლის ბარათზე](#)

[03-05 საქონლისა და მასალების მიღება](#)

[03-06 საქონლისა და მასალების მიღების საბუთების, ასევე მიღებული სპეც. ანგარიშ-ფაქტურების ჩამოტვირთვა RS.GE-დან](#)

[03-07 პროდუქციის წარმოება](#)

[03-08 შიდა გადაზიდვა და დისტრიბუცია](#)

[03-09 საქონლის \(მასალების\) ჩამონერა](#)

[03-10 საქონლის დეკომპლექტაცია](#)

[03-11 საქონლის რეალიზაცია](#)

[03-12 საქონლის დაბრუნება მომწოდებლისათვის](#)

[03-13 საქონლის დაბრუნება მყიდველისაგან](#)

[03-14 საქონლის მოძრაობა](#)

[03-15 მოძრაობა—წარმოება—ჩამონერის საბუთების შესრულების \(გადათვლის\) რიგითი ნომრები](#)

[03-16 საქონლის თვითღირებულების გადათვლა](#)

[03-17 გამონერვილი სასაქონლო ზედნადებების ერთიანად ჩამოტვირთვა RS.GE-დან](#)

[04-01 პასუხისმგებელი პირის დამატება](#)

[04-02 ძირითადი საშუალებების ჯგუფის დამატება](#)

[04-03 ძირითადი საშუალების ბარათის დამატება](#)

[04-04 სანყისი ნაშთის შეტანა ძირითადი საშუალების ბარათზე](#)

[04-05 ძირითადი საშუალების მიღება](#)

[04-06 ძირითადი საშუალებების ცვვლა \(ერთი ძირითადი საშუალებისათვის\)](#)

[04-07 ყველა ძირითადი საშუალების ცვვლა \(ერთიანად\)](#)

[04-08 ძირითადი საშუალებების მოძრაობა](#)

[04-09 ძირითადი საშუალების ჩამონერა](#)

[04-10 ძირითადი საშუალების რეალიზაცია](#)

[05-01 ბანკის ბარათის დამატება](#)

[05-02 პიროვნების ბარათის დამატება](#)

[05-03 ორგანიზაციის ბარათის დამატება](#)

[05-04 ავტოპარკში სატრანსპორტო საშუალებისა და მძღოლის დამატება](#)

[06-01 ორგანიზაციის Rs.ge პორტალზე სერვისის მომხმარებლის დამატება](#)

00-01 ორგანიზაციის მონაცემები

ფანჯარა 'ჩვენი ორგანიზაცია' (ALT+M)

ჩანართი 'მონაცემები'

- ვაფსებთ რეკვიზიტების ველებს;

ჩანართი 'რეგისტრაცია'

- ვაფსებთ რეკვიზიტების ველებს;

ჩანართი 'სხვადასხვა'

- 'ღირექტორის', 'მთავარი ბუღალტრის' და 'საკონტაქტო პირის' ველებში სამი წერტილის გამოყენებით ხალხის სიიდან ვირჩევთ საჭირო პიროვნებებს. თუ ისინი ჯერ არ არის დამატებული სიაში, აქვე ვამატებთ მათ;
- ველში 'თანამდებობა' ვუთითებთ საკონტაქტო პირის თანამდებობას;
- საბანკო ანგარიშის დასამატებლად ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი საბანკო ანგარიშის დამატების' ფანჯარას;
- ველში 'ბანკი' სამი წერტილის გამოყენებით ბანკების სიიდან ვირჩევთ სასურველს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული სიაში, აქვე ვამატებთ მას;
- ვუთითებთ საღარე და საფალუგო ანგარიშის ნომრებს;
- თანხმობის დილაკით ვასრულებთ საბანკო ანგარიშის დამატებას;

ჩანართი ლოგო

- ნახატზე ზემოქმედებით ვხსნით ფანჯარას რესურსები (არჩევანი);
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'რესურსების იმპორტის' ფანჯარას;

- ველში 'ფაილის დასახელება' სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ სასურველ ლოგოს (ფაილი უნდა იყოს bmp ან ico გაფართოების);
- იმპორტის დილაკზე ზემოქმედებით ლოგო დაემატება რესურსების ფანჯარაში;
- თავის ზემოქმედებით ვირჩევთ სასურველ ლოგოს;

ჩანართი Data

- საჭიროების შემთხვევაში ვაფასებთ ორგანიზაციის რეკვიზიტებს ინგლისურ ენაზე;

01-01 ანგარიშებისა და ქვეანგარიშების დამატება

ფანჯარა 'ანგარიშთა გეგმა' (F9)

ახალი ძირითადი ანგარიშის დამატება

- ინსტრუქციების მოლიდან ვიძახებთ 'ახალი ანგარიშის დამატების' ფანჯარას (CTRL+N);
- ვაფასებთ ანგარიშის ნომრისა და დასახელების ველებს;
- ველში 'ტიპი' სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ საჭირო ჯგუფს;
- ველში 'გააჩნია ქვეანგარიშები' მიეთითება 'კი', თუ შემდეგში ამ ანგარიშზე უნდა დაემატოს ქვეანგარიშები, წინააღმდეგ შემთხვევაში მიეთითება 'არა';
- ველში 'გადაფასება' მიეთითება 'კი', თუ ანგარიშზე აღირიცხება უცხოური ვალუტა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიეთითება 'არა';
- ველში 'რაოდენობრიობა' მიეთითება 'არა', რადგან რაოდენობრივი აღრიცხვა პროგრამაში მიმდინარეობს შესაბამის განყოფილებებში და არა ანგარიშებზე;
- თანხმობის დილაკით ვასრულებთ ძირითადი ანგარიშის დამატების ოპერაციას;

ანგარიშის გადაქცევა საქალაქოდ (ქვეანგარიშების მქონედ)

ფანჯარა 'ანგარიშთა გეგმა' (F9)

- თავის ორმაგი ზემოქმედებით ან 'Enter' კლავიშით ვხსნით ანგარიშს, რომელიც უნდა გადაიქცეს საქალაქოდ;
- ველში 'გააჩნია ქვეანგარიშები' ვუთითებთ 'კი';
- თანხმობის დილაკით ვასრულებთ ოპერაციას;

ახალი ქვეანგარიშის დამატება

ფანჯარა 'ანგარიშთა გეგმა' (F9)

- თავის ორმაგი ზემოქმედებით ან 'Enter' კლავიშით ვხსნით ანგარიშს, რომელშიც უნდა დაემატოს ახალი ქვეანგარიში;
- ინსტრუქციების მოლიდან ვიძახებთ 'ახალი ანგარიშის დამატების' ფანჯარას (CTRL+N);
- ვაფასებთ ანგარიშის ნომრისა და დასახელების ველებს;
- თანხმობის დილაკით ვასრულებთ ქვეანგარიშის დამატების ოპერაციას;

[ანგარიშთა გეგმა - ვიდეო ინსტრუქცია youtube-ზე](https://www.youtube.com/watch?v=duV4gyYekEA&list=PLbTmcFV_bEA5Yfmgn0D8g4jUFnjrh6_s)

https://www.youtube.com/watch?v=duV4gyYekEA&list=PLbTmcFV_bEA5Yfmgn0D8g4jUFnjrh6_s

01-02 საწყისი ნაშთების შეგანა ანგარიშზე (ქვეანგარიშზე)

ფანჯარა 'ანგარიშთა გეგმა' (F9)

- თავის ერთმაგი ზემოქმედებით ვნიშნავთ საჭირო ანგარიშს (ქვეანგარიშს);
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ანგარიშის საწყისი საბალანსო ნაშთების ფანჯარას' (CTRL+S);
- მიღებულ ფანჯარაში, ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ახალი ნაშთის დამატების ფანჯარას (CTRL+N);
- ველში 'ნაშთი' შეგვყავს საწყისი ღირებულება;
- სავალუტო ნაშთის შემთხვევაში ვალუტის ველში სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ ვალუტას და ვუთითებთ კურსს;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საწყისი ნაშთის შეგანის ოპერაციას;
- ბოლოს კი, ვხურავთ 'საბალანსო ნაშთების' ფანჯარას;

[ანგარიშთა გეგმის საწყისი ნაშთები - ვიდეო ინსტრუქცია youtube-ზე](https://www.youtube.com/watch?v=wWZYQRboVtE&list=PLbTmcFV_bEA5Yfmgn0D8g4jUFnjkrrh6_s)

https://www.youtube.com/watch?v=wWZYQRboVtE&list=PLbTmcFV_bEA5Yfmgn0D8g4jUFnjkrrh6_s

01-03 საბუღალტრო ოპერაციის დამატება

ფანჯარა 'ყველა საბუთი' (F6)

- 'პერიოდის' ველებში სამი წერტილის გამოყენებით ვუთითებთ საჭირო პერიოდს;
- F5 ღილაკით ვანახლებთ ეკრანს;
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი საბუღალტრო ოპერაციის დამატების' ფანჯარას (CTRL+N);
- ვუთითებთ თარიღს, ნომერს და შინაარსს;
- ოპერაციაში ახალი საბუღალტრო გატარების დამატებისათვის, ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი საბუღალტრო გატარების' ფანჯარას (CTRL+N);
- დებეტური ანგარიშის ველში, სამი წერტილის გამოყენებით, ანგარიშთა გეგმიდან ვირჩევთ სასურველ ანგარიშს (ქვეანგარიშს). საჭიროების შემთხვევაში ვირჩევთ ვალუტას;
- კრედიტული ანგარიშის ველში, სამი წერტილის გამოყენებით, ანგარიშთა გეგმიდან ვირჩევთ სასურველ ანგარიშს (ქვეანგარიშს). საჭიროების შემთხვევაში ვირჩევთ ვალუტას;
- ვავსებთ თანხის ველს;
- სავალუტო ოპერაციის შემთხვევაში ვირჩევთ ვალუტას;
- 'კურსის' ველი ავტომატურად ივსება მოქმედი ოფიციალური კურსით, რომელსაც ვცვლით საჭიროების შემთხვევაში;
- ველი 'თანხა ლარში' ავტომატურად ივსება;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საბუღალტრო გატარების დამატებას;
- საჭიროების შემთხვევაში ანალოგიურად ვამატებთ ახალ საბუღალტრო გატარებას;
- ბოლოს კი თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საბუღალტრო ოპერაციის შექმნას;

სფდ

01-05 ანგარიშზე მონაცემების დამატება

ფანჯარა 'ანგარიშთა გეგმა' (F9)

- ვნიშნავთ ანგარიშს (ქვეანგარიშს), რომელსაც უნდა დაუკავშირდეს მონაცემები;
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ანგარიშის მონაცემების ფანჯარას (CTRL+M);
- ველში 'მფლობელი' სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ საჭირო ჯგუფს, მაგალითად 'ორგანიზაცია';
- ველში 'ორგანიზაცია' სამი წერტილის გამოყენებით ორგანიზაციების სიიდან ვირჩევთ სასურველს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- მყიდველის ანგარიშის შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მითითება;

01-06 გადაფასების ოპერაციები

ფანჯარა საბუღალტრო ოპერაციები (F4)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ კალენდრის ფანჯარას (ALT+F5);
- მიმდინარე თარიღის ველში ვუთითებთ სასურველ თარიღს;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ სამუშაო თარიღის დაყენების ოპერაციას;
- F5 კლავიშით ვახდენთ ეკრანის განახლებას (ამ მოქმედებით კალენდარში მითითებული მიმდინარე თარიღი აისახება ფანჯარაში და ყველა ახალ გამოძახებულ ოპერაციაში ავტომატურად ეს თარიღი იქნება მითითებული);
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი საბუღალტრო ოპერაციის დამატების' ფანჯარას (CTRL+N);
- ოპერაციაში, ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ოპერაციების გიჟების' ფანჯარას (CTRL+O);
- ვხსნით საქალაქს 'სავალუტო ნაშთების გადაფასება';
- ვირჩევთ ოპერაციის გიჟს 'სავალუტო ნაშთების გადაფასება';
- ველში 'გადაფასების ვალუტა' ვირჩევთ საჭირო ვალუტას;
- კურსი ავტომატურად შეესაბამება ოპერაციის თარიღში მოქმედი ოფიციალური კურსით;
- საჭიროების შემთხვევაში ვცვლით 'მოგებისა' და 'ზარალის' ანგარიშებს;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ გადაფასების საბუღალტრო გატარებების შესრულებას;
- ბოლოს კი, თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საბუღალტრო ოპერაციას;

01-07 გადახურვითი ოპერაციები

ფანჯარა საბუღალტრო ოპერაციები (F4)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ კალენდრის ფანჯარას (ALT+F5), მიმდინარე თარიღის ველში ვუთითებთ სასურველ თარიღს და თანხმობის ღილაკით ვასრულებთ სამუშაო თარიღის დაყენების ოპერაციას;
- F5 კლავიშით ვახდენთ ეკრანის განახლებას (ამ მოქმედებით კალენდარში მითითებული მიმდინარე თარიღი აისახება ფანჯარაში და ყველა ახალ გამოძახებულ ოპერაციაში ავტომატურად ეს თარიღი იქნება მითითებული);
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი საბუღალტრო ოპერაციის დამატების' ფანჯარას (CTRL+N);

- ოპერაციაში, ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ‘ოპერაციების ტიპების’ ფანჯარას (CTRL+O);
- ეხსნით საქალაქს ‘გადახურვითი ოპერაციები’;
- ვირჩევთ ოპერაციის ტიპს ‘ანგარიშის ნაშთების განულება’;
- ველში ‘ანგარიში, რომლის განულებაც გინდათ’ ვითითებთ საჭირო ანგარიშის ნომერს (შემოსავლების ანგარიშების ერთიანად მისათითებლად ამ ველში ვწერთ რიცხვს ‘ნ’რაც ამ გულისმობს ნ-ზე დაწყებულ ანგარიშებს);
- ველში ‘ანგარიში, რომელზეც ხდება ნაშთების გადატანა’ ვირჩევთ საჭირო ანგარიშს (შემოსავლების ან ხარჯების გადახურვის შემთხვევაში ამ ველში სავარაუდოდ მიეთითება 5330 ანგარიში);
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ გადახურვის საბუღალტრო გაგარებების შესრულებას;
- ბოლოს კი, თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საბუღალტრო ოპერაციას;

01-08 ბალანსი

ფანჯარა ‘ბალანსი’ (SHIFT+F10)

- ველი ‘ბალანსის ტიპი’ ავტომატურად შევსებულია;
- პერიოდი ავტომატურად შევსებულია კალენდარში მითითებული პერიოდით, რომელსაც ვცვლით საჭიროების შემთხვევაში;
- ღილაკზე ‘გამოიბეჭდოს’ ზემოქმედებით ეკრანზე მიიღება კომპანიის ‘ბალანსი’;

შენიშვნა: თუ ‘გამოიბეჭდვის’ ღილაკზე ზემოქმედებით პროგრამამ გაცნობათ, რომ მოცემული ანგარიშები არ ფიქსირდება ბალანსში, ეს ანგარიშები უნდა დაამატოთ. აღნიშნული საკითხი განხილულია ცალკე ინსტრუქციის სახით;

01-09 ბალანსის ფანჯარაში ანგარიშის დამატება

ფანჯარა ‘ბალანსი’ (SHIFT+F10)

- ჩანართში ‘პარამეტრები’ ვნიშნავთ განყოფილებას, რომელშიც უნდა დაემატოს ანგარიში;
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ‘პარამეტრის ანგარიშების’ ფანჯარას (CTRL+M);
- მიღებულ ფანჯარაში, ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ‘ახალი ანგარიშის დამატების’ ფანჯარას;
- ველში ‘შეიგანეთ ანგარიში’ სამი წერტილის გამოყენებით ანგარიშთა გეგმიდან ვირჩევთ საჭირო ანგარიშს;
- თანხმობის ღილაკით ანგარიში დაემატება შესაბამის გამყოფილებაში;
- ეხურავთ ფანჯარას ‘ბალანსის უწყისის მონაცემები’;

შენიშვნა: ანგარიშის დამატება ანალოგიურად ხდება ‘მოგება–მარალის უწყისში’.

01-10 მოგება–მარალის უწყისი

ფანჯარა ‘ბალანსი’ (SHIFT+F10)

- ველში ‘ბალანსის ტიპი’ სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ ‘მოგება–მარალის უწყისს’;

- პერიოდი ავტომატურად შევსებულია კალენდარში მითითებული პერიოდით, რომელსაც ვცვლით საჭიროების შემთხვევაში;
- ლილაკზე 'გამოიბეჭდოს' ზემოქმედებით ეკრანზე მიიღება კომპანიის 'მოგება-ზარალის უწყისი';

შენიშვნა: თუ 'გამოიბეჭდვის' ლილაკზე ზემოქმედებით პროგრამამ გაცნობათ, რომ მოცემული ანგარიშები არ ფიქსირდება მოგება-ზარალის უწყისში, ეს ანგარიშები უნდა დაამატოთ, რაც 'ბალანსში' ანგარიშების დამატების ანალოგიურად ხდება;

02-01 სალაროს შემოსავლის (გასავლის) ორდერის დამატება

ფანჯარა 'შემოსავლის ორდერები' (SHIFT+F5), ფანჯარა 'გასავლის ორდერები' (SHIFT+F6)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ კალენდრის ფანჯარას (ALT+F5);
- ვუთითებთ სასურველ მიმდინარე თარიღს;
- F5 ლილაკით ვანახლებთ ეკრანს;
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი შემოსავლის ორდერის' ფანჯარას (CTRL+N);
- თარიღი ავტომატურად შევსებული არის კალენდრის მიმდინარე თარიღით, რომელსაც ვცვლით საჭიროების შემთხვევაში;
- შემოსავლის ორდერების ნუმერაციას პროგრამა ახდენს ავტომატურად;
- სალაროს ველი შევსებულია ავტომატურად;
- ვუთითებთ საბუთის შინაარსს;
- ველში 'მიღებული' სამი წერტილის გამოყენებით ანგარიშთა გეგმიდან ვირჩევთ სასურველს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- ვავსებთ 'პიროვნებისა' და 'პირადი ნომრის' ველებს;
- ვავსებთ 'თანხის' ველს;
- ვააქტიურებთ მონიშვნას 'შესრულდა';
- თანხმობის ლილაკით ვასრულებთ სალაროს შემოსავლის ორდერის გატარებას;

ანალოგიურად იქმნება სალაროს გასავლის ორდერი.

02-02 საგადასახლო დაფალების დამატება

სწრაფი ზოლი / ფული / 'საგადასახლო დაფალები' (SHIFT+F2)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ კალენდრის ფანჯარას (ALT+F5);
- ვუთითებთ სასურველ მიმდინარე თარიღს;
- 'F5' ლილაკით ვანახლებთ ეკრანს;
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი საგადასახლო დაფალების' ფანჯარას (CTRL+N);
- თარიღი ავტომატურად შევსებული არის კალენდრის მიმდინარე თარიღით, რომელსაც ვცვლით საჭიროების შემთხვევაში;
- ვუთითებთ საბუთის ნომერს;
- ველში 'ბანკი' სამი წერტილის გამოყენებით ანგარიშთა გეგმიდან ვირჩევთ ანგარიშს, საიდანაც უნდა განხორციელდეს გადარიცხვა. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;

ჩანართი 'მონაცემები I'

- ველში ‘მიმღები’ სამი წერტილის გამოყენებით ანგარიშთა გეგმიდან ვირჩევთ ანგარიშს, რომელმაც უნდა განხორციელდეს გადარიცხვა. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- თუ მიმღების ანგარიშს დამატებული აქვს მონაცემები, ავტომატურად ივსება მისი რეკვიზიტები;
- ვუთითებთ საბუთის შინაარსს;

ჩანართი ‘მონაცემები I’

- საჭიროების შემთხვევაში ვუთითებთ დამატებით ინფორმაციას;

ჩანართი ‘თანხა’

- ვუთითებთ გადასარიცხი თანხის ოდენობას;

თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საგადასახადო დავალების გატარებას.

02-03 ხელფასის პარამეტრები

სწრაფი ზოლი / ფული / ხელფასის პარამეტრები (CTRL+F3)

- ველში ‘ხელფასის ანგარიში’ ავტომატურად მითითებულია სახელფასო ვალდებულების ანგარიში 3130, რომელსაც ვცვლით საჭიროების შემთხვევაში;
- ველში ‘ხელფასის გაცემის ანგარიში’ ავტომატურად მითითებულია სალაროს ანგარიში რომელსაც ვცვლით საჭიროების შემთხვევაში (ხელფასის ბანკიდან გაცემის შემთხვევაში ვუთითებთ ბანკის ანგარიშს);

ჩანართი დარიცხვა

- ხელფასის დარიცხვის ველები ავტომატურად შევსებულია ადმინისტრაციული ხელფასის ხარჯის ანგარიშით, რომელსაც ვცვლით საჭიროების შემთხვევაში;
- თითოეულ ანგარიშთან, ველზე ‘კავდება’ ბემოქმედებით ვხსნით დაკავებების ფანჯარას და მონიშვნის სახით ვუთითებთ საჭირო დაკავებებს;

ჩანართი დაკავება

- ველში ‘დაუბეგრავი მინიმუმი’ ვუთითებთ ერთიანს (დღევანდელი კანონმდებლობით დაუბეგრავი მინიმუმი საერთოდ გაუქმებულია);
- ველში ‘საშემოსავლო შეღავათის ზღვარი’ ვუთითებთ ‘3000’-ს;
- ველი ‘საშემოსავლოს ანგარიში’ ავტომატურად შევსებულია შესაბამისი ანგარიშით;
- ღილაკზე ‘ცხრილი’ ბემოქმედებით იხსნება ‘საშემოსავლოს ცხრილის’ ფანჯარა, სადაც მითითებულია საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი;
- ველში ‘დაგრ. პენსია’ ვუთითებთ ანგარიშს, რომელზედაც უნდა მოხდეს დაგროვებითი პენსიის დაკავება;

ჩანართი დღეები

- ველში ‘დღის ხანგრძლივობა’ ვუთითებთ სამუშაო დღის ხანგრძლივობას საათებში (ეს საჭიროა, როცა ხელფასის აღრიცხვა ხდება საათობრივად);
- ‘დასვენების დღეების’ ნაწილში ავტომატურად არის მონიშნული შაბათი და კვირა, რასაც ვცვლით საჭიროების შემთხვევაში;

ბოლოს კი თანხმობის დილაკით ვასრულებთ ხელფასის პარამეტრების მითითებას.

02-04 განყოფილების დამატება

ფანჯარა 'განყოფილებები' (ALT+D)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი განყოფილების დამატების' ფანჯარას;
- ველში 'განყოფილება' ვუთითებთ განყოფილების დასახელებას;
- ველში 'განყოფ. უფროსი' სამი წერტილის გამოყენებით ხალხის სიიდან ვირჩევთ სასურველს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- თანხმობის დილაკით ვასრულებთ განყოფილების შექმნას;

02-05 მომსახურე პერსონალის დამატება

ფანჯარა 'მომსახურე პერსონალი' (CTRL+F7)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი მომსახურე პირის დამატების' ფანჯარას (CTRL+N);
- ველში 'პიროვნება' სამი წერტილის გამოყენებით ხალხის სიიდან ვირჩევთ საჭირო პიროვნებას. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;

ჩანართი მონაცემები

- 'სახელის', 'გვარის' და 'თანამდებობის' ველები ივსება ავტომატურად (პიროვნების არჩევის საფუძველზე);
- ველში 'სატაბელო ნომერი' ვუთითებთ პიროვნების რიგით ნომერს;
- ველში 'განყოფილება' სამი წერტილის გამოყენებით განყოფილებების სიიდან ვირჩევთ სასურველს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- ველში 'ანგარიში ბანკში' სამი წერტილის გამოყენებით პიროვნების ანგარიშების სიიდან ვირჩევთ სასურველს (პიროვნების პირადი ანგარიშის დამატება ხდება ხალხის ფანჯარაში, მის ბარათში);
- ველს 'აქვს პარამეტრები' ვააქტიურებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პიროვნებას უნდა მიეთითოს ხელფასის ძირითადი პარამეტრებისაგან განსხვავებული პარამეტრები. სხვა შემთხვევაში 'პარამეტრების' გააქტიურება საჭირო არ არის;

ჩანართი 'ხელფასი'

- ველში 'ძირითადი ხელფასი' ვუთითებთ დარიცხული ხელფასის ოდენობას;
- ვირჩევთ ხელფასის დაანგარიშების გიჟს;

ჩანართი დარიცხვა

- დამატებითი დარიცხვის ველებს ვავსებთ იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე მათგანის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად;

ჩანართი დაკავება

- ველში 'საშემოსავლო შეღავათი' შეიგანება '100', როცა პიროვნება სარგებლობს საშემოსავლო შეღავათით;

- ვირჩევთ დაგროვებითი პენსიის სქემაში მონაწილეობის გიჟს;
- დამატებითი დაკავების ველს და მათ შესაბამის ანგარიშებს ვავსებთ იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე მათგანი კავდება ყოველთვიურად;

ბოლოს კი, თანხმობის ღილაკით ვასრულებთ მომსახურე პირის ბარათის შექმნას.

02-06 ხელფასის საბუთის შექმნა ინდივიდუალურად (ერთი პირისათვის)

ფანჯარა 'ხელფასის საბუთები' (CTRL+F8)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ კალენდრის ფანჯარას (ALT+F5);
- მიმდინარე თარიღის ველში ვუთითებთ სასურველ თარიღს და თანხმობის ღილაკით ვასრულებთ სამუშაო თარიღის დაყენების ოპერაციას;
- F5 კლავიშით ვახდენთ ეკრანის განახლებას (ამ მოქმედებით კალენდარში მითითებული მიმდინარე თარიღი აისახება ფანჯარაში და ყველა ახალ გამოძახებულ ოპერაციაში ავტომატურად ეს თარიღი იქნება მითითებული);
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი ხელფასის საბუთის დამატების' ფანჯარას (CTRL+N);
- ვუთითებთ საბუთის ნომერს (შინაარსს პროგრამა მიაჩნტებს ავტომატურად);
- ველში 'მომსახურე პირი' სამი წერტილის გამოყენებით მომსახურე პერსონალის სიიდან ვირჩევთ საჭირო პიროვნებას. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- ველი 'განაკვეთი' ავტომატურად ივსება არჩეული მომსახურე პირის ბარათში მითითებული ხელფასის ოდენობით;
- 'ხელფასის დათლის' ღილაკზე ზემოქმედებით დაანგარიშდება დარიცხული ხელფასი, დაკავებული გადასახდები და ხელზე გასაცემი თანხა;
- მხოლოდ დარიცხვის შესრულების მიზნით, ველში 'გასაცემი თანხა' ვწერთ 'ნულს' და ვკვებთ მის გვერდით არსებულ ბოჭლომს. შედეგად, ხელფასის საბუთი გადაანგარიშდება მხოლოდ დარიცხვის სახით;
- მხოლოდ გაცემის შერყლების მიზნით, ველში 'დღეები/საათები' ვწერთ 'ნულს', ველში 'გასაცემი თანხა' ვწერთ საჭირო თანხას და ვკვებთ მის გვერდით არსებულ ბოჭლომს. შედეგად, ხელფასის საბუთი გადაანგარიშდება მხოლოდ გაცემის სახით;
- ვააქტიურებთ მონიშვნას 'შესრულდა', რაც უზრუნველყოფს საბუთის ასახვას ხელფასის განყოფილებაში;
- ვააქტიურებთ მონიშვნას 'მოხდეს გაგარება', რაც უზრუნველყოფს საბუთის საბუღალტრო გაგარებების შექმნას;
- საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია შეგვაქვს საბუთის სხვა ჩანართებში;
- ბოლოს კი, თანხმობის ღილაკზე ზემოქმედებით ვასრულებთ ხელფასის საბუთის შექმნას;

02-07 ხელფასის უწყისის შექმნა ერთიანად (ყველა თანამშრომელზე, განყოფილებაზე ან ნებისმიერ რამდენიმე თანამშრომელზე)

ყველა თანამშრომელთა ერთიანად მონიშვნა

ფანჯარა 'მომსახურე პერსონალი' (CTRL+F7)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ‘მონიშვნის’ ფანჯარას;
- ვააქტიურებთ ველს ‘ყველა თანამშრომელი’ და თანხმობის ღილაკით ვასრულებთ ოპერაციას;

ერთერთი განყოფილების თანამშრომელთა ერთიანად მონიშვნა

ფანჯარა ‘მოძსახურე პერსონალი’(CTRL+F7)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ‘ფილტრის’ ფანჯარას;
- ველში ‘შეიგანეთ განყოფილება’ სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ საჭირო განყოფილებას;
- თანხმობის ღილაკზე ზემოქმედებით ეკრანზე მიიღება მხოლოდ არცეული განყოფილების თანამშრომელთა სია;
- მირეულ ფანჯარაში ვახდენთ ყველათანამშრომლის ერთიანად მონიშვნას (შედეგად მონიშნება მხოლოდ არცეული განყოფილების ყველა თანამშრომელი);

ერთი თანამშრომლის მონიშვნა

ფანჯარა ‘მოძსახურე პერსონალი’(CTRL+F7)

- თავის ორმაგი ზემოქმედებით ვხსნით საჭირო თანამშრომლის ბარათს;
- ვააქტიურებთ მონიშვნას ‘მონიშნული’ და თანხმობის ღილაკით ვასრულებთ მონიშვნის ოპერაციას;

მონიშნულ თანამშრომლებზე ხელფასის საბუთების ერთიანად შექმნა

ფანჯარა ‘ხელფასის საბუთები’ (CTRL+F8)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ კალენდრის ფანჯარას (ALT+F5);
- მიმდინარე თარიღის ველში ვუთითებთ სასურველ თარიღს და თანხმობის ღილაკით ვასრულებთ სამუშაო თარიღის დაყენების ოპერაციას;
- F5 კლავიშით ვახდენთ ეკრანის განახლებას (ამ მოქმედებით კალენდარში მითითებული მიმდინარე თარიღი აისახება ფანჯარაში და ყველა ახალ გამოძახებულ ოპერაციაში ავტომატურად ეს თარიღი იქნება მითითებული);

შენიშვნა:

ხელფასის საბუთების ერთიანად შექმნა შედგება რამდენიმე ეტაპისაგან, რომლებსაც განვიხილავთ თანმიმდევრობით.

საბუთების შექმნა

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ საბუთების შექმნის ფანჯარას (CTRL+M);
- ველში ‘ნომერი’ ვუთითებთ ხელფასის უწყისის ნომერს (ნომერი სასურველია შეიცავდეს წლის აღნიშვნასაც, რომ შემდეგი წლის იმავე თვეში არ განმეორდეს იგი. შინაარსს პროგრამა მიაწეებს);
- ვირჩევთ საბუთების გიჟს – ‘ავანსი’, ‘დარიცხვა’ ან ‘გაცემა’;
- მონიშვნას ‘წელს პირველად ვარიცხავთ ხელფასს’ ვააქტიურებთ მხოლოდ ყოველი წლის ხელფასის პირველი დარიცხვის საბუთებში;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ ოპერაციას;

- შედეგად შეიქმნება ხელფასის საბუთები, სადაც თანამშრომლების ბარათებიდან გადმოტანილი იქნება ხელფასის დაანგარიშებისათვის საჭირო ინფორმაცია;
- რომელიმე თანამშრომლის საბუთში ცვლილების შეტანის საჭიროების შემთხვევაში, ვარელაქტირებთ მას, შეგვაქვს საჭირო ცვლილება (მაგალითად: თანამშრომელს ამ თვეში ერთჯერადად ერიცხება მეტი თანხა ვიდრე მის ბარათში არის მითითებული) და თანხმობის ღილაკით ვასრულებთ ოპერაციას);

საბუთების დათვლა

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ საბუთების დათვლის ფანჯარას (CTRL+R);
- ველში 'მოხდეს ხელფასის საბუთების დათვლა ნომრით' სამი წერტილის გამოყენებით ხელფასის საბუთების სიიდან ვირჩევთ დასათვლელი საბუთის ნომერს;
- ვირჩევთ დათვლის ტიპს – 'მოხდეს ღარიცხვა გაცემა' ან 'მოხდეს მხოლოდ ღარიცხვა';
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ 'საბუთების დათვლის' ოპერაციას;

საბუთების შესრულება

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ საბუთების შესრულების ფანჯარას (CTRL+Y);
- ველში 'ნომრით' სამი წერტილის გამოყენებით ხელფასის საბუთების სიიდან ვირჩევთ საჭირო საბუთის ნომერს;
- ვააქტიურებთ მონიშნას 'მოხდეს საბუღალტრო გატარებები' და თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საბუთების შესრულების ოპერაციას;

ხელფასის ღარიცხვის უწყისის დათვალიერება

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ხელფასის ღარიცხვის უწყისის' ფანჯარას (CTRL+P);
- 'ნომრის' ველში სამი წერტილის გამოყენებით ხელფასის საბუთების სიიდან ვირჩევთ საჭირო საბუთის ნომერს;
- გამობეჭდვის ღილაკზე ზემოქმედებით ეკრანზე მიიღება 'ხელფასის ღარიცხვის უწყისი';

ხელფასის გაცემის უწყისის დათვალიერება

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ხელფასის ღარიცხვის უწყისის' ფანჯარას (ALT+P);
- 'ნომრის' ველში სამი წერტილის გამოყენებით ხელფასის საბუთების სიიდან ვირჩევთ საჭირო საბუთის ნომერს;
- გამობეჭდვის ღილაკზე ზემოქმედებით ეკრანზე მიიღება 'ხელფასის გაცემის უწყისი';

03-01 საქონლისა და მასალების ჯგუფის დამატება

ფანჯარა 'საქონელი და მასალები' (ALT+SHIFT+S)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი საქონლის ჯგუფის დამატების' ფანჯარას (ALT+N);
- ვავსებთ კოდისა და დასახელების ველებს;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ ჯგუფის დამატებას;

03-02 საქონლისა და მასალების ბარათის დამატება

ფანჯარა 'საქონელი და მასალები' (ALT+SHIFT+S)

- ინსტრუმენტების მოლიდან ვიძახებთ ‘ახალი საქონლის დამატების’ ფანჯარას (CTRL+N);

ჩანართი ‘საქონელი’

- ვაგსებით კოდისა და დასახელების ველებს;
- საჭიროების შემთხვევაში, ველში ‘NAME’ შეგვაქვს საქონლის ინგლისური დასახელება;
- ველში ‘ერთეული’ სამი წერტილიდან ვირჩევთ სასურველს. თუ სიაში ჯერ არ არის სასურველი ერთეული, აქვე ვამატებთ მას;
- ველში ‘აღრიცხვის ტიპი’ ვუთითებთ საქონლის აღრიცხვის მეთოდს. რეკომენდირებულია დაგვტოვოთ მეთოდი ‘საშუალო’;
- ველში ‘დღე’ ვუთითებთ საქონლის დაბეგვრა/გათავისუფლებას. თუ საქონელი არ არის დაუბეგრავე ან ნულოვანი, ვტოვებთ ‘საშუალოს’;
- ველში ‘წონა’ მიეთითება საქონლის წონა, თუ საქონლის წონის მიხედვით აღრიცხვა არ ხდება, წონის ველში მიეთითება ‘1’;
- ფასთა ნუსხაში საქონლის გამოჩენის მიზნით ვააქტიურებთ მონიშვნას ‘დაიბეჭდოს’

ჩანართი ‘წარმოება’

- თუ საქონელი იწარმოება, ვააქტიურებთ მონიშვნას ‘ხდება მისი წარმოება’;
- შემადგენელი ნაწილის დასამატებლად, ინსტრუმენტების მოლიდან ვიძახებთ ‘წარმოების ახალი საქონლის დამატების’ ფანჯარას (CTRL+N);
- ველში ‘საქონელი’ სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ საჭირო ბარათს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ;
- ველში ‘რაოდენობა’ ვუთითებთ ერთეული პროდუქციის საწარმოებლად საჭირო რაოდენობას;
- თანხმობის დილაკით ვასრულებთ შემადგენელი ნაწილის დამატებას;
- ანალოგიურად ვამატებთ დანარჩენ შემადგენელ ნაწილებსაც;
- წარმოების საბუთში შემადგენელი ნაწილების გამოჩენის მიზნით ვააქტიურებთ მონიშვნას ‘შემადგენლობა დაიბეჭდოს’;

ჩანართი ‘საბალანსო’

- ვუთითებთ გასაყიდ ფასებს, თუ საქონელზე არ არის დადგენილი ფიქსირებული ფასები, ვუთითებთ ‘1’;

ჩანართი ‘არასაბალანსო’

- სამივე ველში ვუთითებთ ‘1’;

ჩანართი ‘ანგარიშები’

- ველში ‘საქონლის ანგარიში’ ვუთითებთ ანგარიშს, რომელზეც უნდა მოხდეს საქონლის მიღების აღრიცხვა;
- ველში ‘რეალიზაციის ანგარიში’ ვუთითებთ ანგარიშს, რომელზეც უნდა მოხდეს მისი რეალიზაციის აღრიცხვა;
- ველში ‘რ.პ.თ.-ს ანგარიში’ ვუთითებთ ანგარიშს, რომელზეც უნდა მოხდეს საქონლის თვითღირებულების აღრიცხვა მისი რეალიზაციის ოპერაციაში;
- ველში ‘ჩამოწერის ანგარიში’ ვუთითებთ ანგარიშს, რომელზეც უნდა მოხდეს მისი თვითღირებულების აღრიცხვა ჩამოწერის ოპერაციაში;

ბოლოს, თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საქონლის ბარათის შექმნის ოპერაციას.

03-03 საწყობის ბარათის დამატება

ფანჯარა 'საწყობები' (ALT+SHIFT+T)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი საწყობის დამატების' ფანჯარას (CTRL+N);
- ვავსებთ 'დასახელების' ველს;
- ველში 'უფროსი' სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ საწყობის უფროსს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული ხალხის ფანჯარაში, აქვე ვამატებთ მას;
- ვუთითებთ საწყობის მისამართს;
- საჭიროების შემთხვევაში, ვუთითებთ საწყობზე მიმაგრებულ საგრანსპორტო საშუალებას;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საწყობის დამატებას;

03-04 საწყისი ნაშთის შეგანა საქონლის ბარათზე

ფანჯარა 'საქონელი და მასალები' (ALT+SHIFT+S)

- თავისი ერთმაგი ზემოქმედებით ვნიშნავთ საჭირო საქონელს;
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'საბალანსო ნაშთების' ფანჯარას (CTRL+S);
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი ნაშთების დამატების' ფანჯარას (CTRL+N);
- ველში 'საწყობი' საწყობების ფანჯარიდან ვირჩევთ საჭირო საწყობს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- ველში 'რაოდენობა' შეგვყავს საქონლის რაოდენობა, არჩეული საწყობის მიხედვით;
- ველში 'სრული ღირებულება' შეგვყავს საქონლის ღირებულება, შეგანილი რაოდენობის შესაბამისად;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საწყისი ნაშთის დამატების ოპერაციას;
- ბოლოს კი, ვხურავთ 'საბალანსო ნაშთების' ფანჯარას;

03-05 საქონლისა და მასალების მიღება

ფანჯარა 'შემოსავლის ზედღებული' (ALT+SHIFT+F3)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ კალენდრის ფანჯარას (ALT+F5);
- მიმდინარე თარიღის ველში ვუთითებთ სასურველ თარიღს;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საინფორმაციო პერიოდის დაყენების ოპერაციას;
- F5 კლავიშით ვახდენთ ეკრანის განახლებას (ამ მოქმედებით კალენდარში მითითებული მიმდინარე თარიღი ავტომატურად აისახება ახალ გამოძახებულ საბუთში);
- საქონლის მიღების საბუთის გატარების მიზნით, ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ახალი ზედღებულის ფანჯარას (CTRL+N);
- ველში 'თარიღი' ვუთითებთ საჭირო თარიღს (თუ წინასწარ კალენდარში საჭირო მიმდინარე თარიღი არ გვაქვს მითითებული);
- ველში 'საბუთის ნომერი' ვუთითებთ საბუთის ნომერს (სასაქონლო ზედნაღები, საბაჟო დეკლარაცია და ა. შ.);
- ველში 'მომწოდებელი' სამი წერტილის გამოყენებით ანგარიშთა გეგმიდან ვირჩევთ მომწოდებლის ანგარიშს (ქვეანგარიშს). თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- ველში 'საწყობი' ვირჩევთ საჭირო საწყობს;
- ახალი საქონლის დასამატებლად ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი საქონლის დამატების' ფანჯარას (CTRL+N);
- ველში 'საქონელი' სამი წერტილის გამოყენებით, საქონლის სიიდან ვირჩევთ საჭირო ბარათს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- ველში 'რაოდენობა' ვუთითებთ მიღებულ რაოდენობას;
- ვუთითებთ 'ერთეულის' ან სულ ფასს;
- იმპორტის სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში ველში 'ვალუტა' ვუთითებთ საჭირო ვალუტას;
- 'კურსი' ავტომატურად ივსება ოფიციალური სავალუტო კურსით;
- ველი 'მშ. ღღ' ავტომატურად ითვლება, (იმპორტის შემთხვევაში მიეთითება 'ნული', რადგან უცხოელ მომწოდებელთან არ ხდება ღღ-ის გადახდა);
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საქონლის დამატების ოპერაციას;
- ანალოგიურად ვამატებთ დანარჩენ საქონლებს;
- 'ღღ-ის ანგარიშის' ველის შევსება მხოლოდ იმ შემთხვევაში არის საჭირო, როდესაც ღღ-ის თანხის გატარება საჭიროა პარამეტრებში მითითებული 'ჩასათვლელი ღღ-ის' ანგარიშისაგან განსხვავებულ ანგარიშში;
- 'იმპორტის სასაქონლო ოპერაციის' შემთხვევაში, ველში "სულ" ვირჩევთ საჭირო ვალუტას;
- საქონლის თვითღირებულებებზე გადასანაწილებელი ხარჯების გასატარებლად გადავიღვართ ჩანართში 'დამატებითი ხარჯები';
- 'დამატებითი ხარჯის' სვეტში სამი წერტილის გამოყენებით ანგარიშთა გეგმიდან ვირჩევთ საჭირო ანგარიშს, თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- ველში 'თანხა' ვუთითებთ დამატებითი ხარჯის თანხას ღღ-ის ჩათვლით;
- ველი 'მშ. ღღ' დაანგარიშდება ავტომატურად;
- ველში 'ვალუტა' სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ საჭირო ვალუტას;

- ველები ‘ლარში’ და ‘მშ. დღე ლარში’ დაანგარიშდება ავტომატურად;
- ვირჩევთ დამატებითი ხარჯის ‘განაწილების’ მეთოდს;
- ანალოგიურად ვამატებთ დანარჩენ დამატებით ხარჯებსაც;
- ბოლოს კი, თანხმობის ღილაკით ვასრულებთ მიღებული სასაქონლო ზედღებულის შეგანის ოპერაციას;

03-06 საქონლისა და მასალების მიღების საბუთების, ასევე მიღებული სპეც.

ანგარიშ-

ფაქტურების ჩამოგვირთვა RS.GE-დან

ფანჯარა ‘შემოსავლის ზედღებული’ (ALT+SHIFT+F3)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ კალენდრის ფანჯარას (ALT+F5), მიმდინარე თარიღის ველში ვუთითებთ სასურველ თარიღს და თანხმობის ღილაკით ვასრულებთ სამუშაო თარიღის დაყენების ოპერაციას;
- F5 კლავიშით ვახდენთ ეკრანის განახლებას (ამ მოქმედებით კალენდარში მითითებული მიმდინარე თარიღი აისახება ფანჯარაში და ყველა ახალ გამოძახებულ ოპერაციაში ავტომატურად ეს თარიღი იქნება მითითებული);
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ახალი ზედღებულის ფანჯარას (CTRL+N);
- საბუთში, ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ‘rs.ge-დან ზედღებულის ჩამოგვირთვის’ ფანჯარას (CTRL+I);
- მიღებულ ფანჯარაში ვნიშნავთ საჭირო საბუთს და თავის ორჯერ ზემოქმედებით ან თანხმობის ღილაკით ვახდენთ მის ჩამოგვირთვას;
- ერთხელ უკვე ჩამოგვირთულ (დაკავშირებულ) საქონელს პროგრამა ავტომატურად მოძებნის;
- რომელიმე საქონლის პირველად ჩამოგვირთვის შემთხვევაში პროგრამა გამოიყენებს საქონლის ბარათს ‘გაუკვეველი’;
- თუ ჩამოგვირთული საქონლის სიაში არის საქონლის ბარათი ‘გაურკვეველი’, მასზე თავის ორჯერ ზემოქმედებით ვხსნით მისი რედაქტირების ფანჯარას, სადაც ქვედა ნაწილში ჩანს ამ საქონლის კოდი, დასახელება და განზომილება, როგორც იგი მიღებული არის RS.GE-ზე;
- ველში ‘საქონელი’ სამი წერტილის გამოყენებით საქონლის სიიდან ვირჩევთ შესაბამისი საქონლის ბარათს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საქონლის მითითების ოპერაციას;
- თუ საქონლის სიაში არის წითელი ფერის ჩანაწერი, ეს ნიშნავს, რომ მიღებული საქონლის RS.GE-ის განზომილება განსხვავებულია სუპერფინში შესაბამისი საქონლის ბარათში არსებული განზომილებისაგან.
- ‘თავის’ ზემოქმედებით ვხსნით წითელი ჩანაწერის საქონლის რედაქტირების ფანჯარას;
- თუ RS.GE განზომილება განსხვავდება არჩეული საქონლის პროგრამაში აღრიცხვის განზომილებისაგან, ‘რაოდენობისა’ და ‘ერთეულის ფასს’ ვუთითებთ საქონლის ბარათში არსებული განზომილების მიხედვით (მაგ: მიღებულია 10 ყუთი ლიმონათი. ერთი ყუთის ფასი არის 24 ლარი და ყუთში არის 12 ბოთლი. თუ პროგრამაში ლიმონათის განზომილება არის ‘ბოთლი’, მაშინ რაოდენობაში ვუთითებთ 120 ცალს და ერთეულის ფასში ვუთითებთ 2 ლარს);

- ველში 'მომწოდებელი' სამი წერტილის გამოყენებით მომწოდებლების სიიდან ვირჩევთ საჭირო მომწოდებელს. (მომწოდებლის ველი ავტომატურად იქნება შევსებული, თუ მომწოდებლის ანგარიშს დამატებული აქვს მონაცემები, სადაც შეგანილია მისი საიდენტიფიკაციო ნომერი);
- ველში 'საწყობი' ვირჩევთ საჭირო საწყობს (საწყობის ველი ავტომატურად ივსება, თუ პროგრამაში მხოლოდ ერთი საწყობია);
- 'დღე-ის ანგარიშის' ველის შევსება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დღე-ის თანხის გატარება საჭიროა პარამეტრებში მითითებული 'ჩასათვლელი დღე-ის' ანგარიშისაგან განსხვავებულ ანგარიშზე;
- ბოლოს კი თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საქონლის მიღების ოპერაციას;

03-07 პროდუქციის წარმოება

ფანჯარა 'მოძრაობა-წარმოება-ჩამოწერა' (ALT+SHIFT+M)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ კალენდრის ფანჯარას (ALT+F5);
- მიმდინარე თარიღის ველში ვუთითებთ სასურველ თარიღს;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ სამუშაო თარიღის დაყენების ოპერაციას;
- F5 კლავიშით ვახდენთ ეკრანის განახლებას (ამ მოქმედებით კალენდარში მითითებული მიმდინარე თარიღი აისახება ფანჯარაში და ყველა ახალ გამოძახებულ ოპერაციაში ავტომატურად ეს თარიღი იქნება მითითებული);
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ახალი ოპერაციის ფანჯარას (CTRL+N);
- ველში 'თარიღი' ვუთითებთ საჭირო თარიღს;
- ველში 'საბუთის ნომერი' ვუთითებთ საბუთის ნომერს (თუ ნომერს არ შეცვლით, პროგრამა საბუთებს დანომრავს ავტომატურად);
- ველში 'ოპერაციის ტიპი' სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ საქონლისა და მასალების წარმოებას;
- ველში 'საწყობი' სამი წერტილის გამოყენებით საწყობების სიიდან ვირჩევთ საჭირო საწყობს;
- ახალი საქონლის (მასალის) დასამატებლად საბუთის ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ 'ახალი საქონლის დამატების' ფანჯარას (CTRL+N);

ჩანართი საქონელი

- ველში 'საქონელი' სამი წერტილის გამოყენებით, საქონლის სიიდან ვირჩევთ საწარმოებელ საქონელს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- ველში 'რაოდენობა' ვუთითებთ საწარმოებელ რაოდენობას;

ჩანართი შემადგენლობა

- შემადგენლობის ჩანართს ვააქტიურებთ იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ცვლილების შეტანა;
- 'რაოდენობის გაღათვის' ღილაკზე ბეჭდვით დაანგარიშდება შემადგენლობის რაოდენობები საწარმოებელი რაოდენობის შესაბამისად;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საბუთში საქონლის დამატებას;
- ანალოგიურად ვამატებთ დანარჩენ საქონლებს;
- ბოლოს კი, თანხმობის ღილაკით ვასრულებთ წარმოების ოპერაციის გატარებას;

03-08 შიდა გადაზიდვა და დისკრიბუცია

ფანჯარა 'მოძრაობა-წარმოება-ჩამოწერა' (ALT+SHIFT+M)

- ინსტრუმენტების მოლიდან ვიძახებთ კალენდრის ფანჯარას (ALT+F5), მიმდინარე თარიღის ველში ვუთითებთ სასურველ თარიღს და თანხმობის ღილაკით ვასრულებთ სამუშაო თარიღის დაყენების ოპერაციას;
- F5 კლავიშით ვახდენთ ეკრანის განახლებას (ამ მოქმედებით კალენდარში მითითებული მიმდინარე თარიღი აისახება ფანჯარაში და ყველა ახალ გამოძახებულ ოპერაციაში ავტომატურად ეს თარიღი იქნება მითითებული);
- ინსტრუმენტების მოლიდან ვიძახებთ ახალი ოპერაციის ფანჯარას (CTRL+N);

ჩანართი 'ოპერაცია'

- ველში 'თარიღი' ვუთითებთ საჭირო თარიღს;
- ველში 'საბუთის ნომერი' ვუთითებთ საბუთის ნომერს (თუ ნომერს არ შეცვლით, პროგრამა საბუთებს დანომრავს ავტომატურად);
- ველში 'ოპერაციის ტიპი' სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ 'საქონლისა და მასალების მოძრაობას';
- ველში 'საწყობი' სამი წერტილის გამოყენებით საწყობების სიიდან ვირჩევთ საწყობს, საიდანაც ხდება საქონლის გაცემა;
- ველში 'მიმღები საწყობი' სამი წერტილის გამოყენებით საწყობების სიიდან ვირჩევთ საწყობს, სადაც ხდება საქონლის მიღება;
- ახალი საქონლის (მასალის) დასამატებლად საბუთის ინსტრუმენტების მოლიდან ვიძახებთ 'ახალი საქონლის დამატების' ფანჯარას (CTRL+N);
- ველში 'საქონელი' სამი წერტილის გამოყენებით, საქონლის სიიდან ვირჩევთ სასურველ საქონელს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- 'დათვლის' ღილაკზე ზემოქმედებით 'რაოდენობისა' და 'თვითღირებულების' ველები შეივსება საწყობში არსებული საქონლის სრული ნაშთებით;
- ველში 'რაოდენობა' ვუთითებთ სასურველ რაოდენობას;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საბუთში საქონლის დამატებას;
- ანალოგიურად ვამატებთ დანარჩენ საქონლებს;

ჩანართი RS.GE

- ველში 'მოძრაობის ტიპი' ვირჩევთ 'შიდა გადაზიდვას' ან 'დისკრიბუციას';
- გრანსპორტირების დაწყებისა და დასრულების მისამართები ავტომატურად ივსება არჩეული საწყობების მისამართებით;
- ასევე ავტომატურად არის შევსებული გრანსპორტირების ტიპი, საგრანსპორტო საშუალებისა და მძღოლის მონაცემები;
- 'ჩამბარებისა' და 'მიმღების' ველები ავტომატურად შევსებულია არჩეული საწყობების უფროსების მონაცემებით;

ბოლოს კი, თანხმობის ღილაკით ვასრულებთ მოძრაობის ოპერაციის გატარებას;

03-09 საქონლის (მასალების) ჩამოწერა

ფანჯარა 'მოძრაობა-წარმოება-ჩამოწერა' (ALT+SHIFT+M)

- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ კალენდრის ფანჯარას (ALT+F5)
- მიმდინარე თარიღის ველში ვუთითებთ სასურველ თარიღს;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ სამუშაო თარიღის დაყენების ოპერაციას;
- F5 კლავიშით ვახდენთ ეკრანის განახლებას (ამ მოქმედებით კალენდარში მითითებული მიმდინარე თარიღი აისახება ფანჯარაში და ყველა ახალ გამოძახებულ ოპერაციაში ავტომატურად იქნება მითითებული);
- ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ახალი ოპერაციის ფანჯარას (CTRL+N);
- ველში 'თარიღი' ვუთითებთ საჭირო თარიღს;
- ველში 'საბუთის ნომერი' ვუთითებთ საბუთის ნომერს (თუ ნომერს არ შეცვლით, პროგრამა საბუთებს დანომრავს ავტომატურად);
- ველში 'ოპერაციის ტიპი' სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ 'საქონლისა და მასალების ჩამოწერას';
- ჩამოწერის ანგარიშის ველს ვააქტიურებთ ჩამოწერის ანგარიშის მისათითებლად. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში არის საჭირო, როცა საქონლის ჩამოწერა უნდა მოხდეს მის ბარათში მითითებული ჩამოწერის ანგარიშისაგან განსხვავებულ ანგარიშზე. ჩვეულებრივ შემთხვევაში ამ ველის გააქტიურება არ არის საჭირო და საქონლის ჩამოწერა ავტომატურად მოხდება მისივე ბარათში მითითებულ ჩამოწერის ანგარიშზე;
- ველში 'საწყობი' სამი წერტილის გამოყენებით ვირჩევთ საჭირო საწყობს;
- ახალი საქონლის (მასალის) დასამატებლად ინსტრუმენტების ზოლიდან ვიძახებთ ახალი საქონლის დამატების ფანჯარას (CTRL+N);
- ველში 'საქონელი' სამი წერტილის გამოყენებით, საქონლის სიიდან ვირჩევთ საჭირო ბარათს. თუ იგი ჯერ არ არის დამატებული, აქვე ვამატებთ მას;
- დათვლის ღილაკზე ზემოქმედებით, რაოდენობისა და თვითღირებულების ველები ივსება საწყობში არსებული სრული რაოდენობით;
- ველში 'რაოდენობა' ვუთითებთ ჩამოსაწერ რაოდენობას, (სხვა ველზე გადასვლის ან თანხმობის შემთხვევაში ავტომატურად გამოითვლება მითითებული რაოდენობის შესაბამისი თვითღირებულება);
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საქონლის დამატების ოპერაციას;
- ანალოგიურად ვამატებთ დანარჩენ საქონლებს;
- თანხმობის ღილაკით ვასრულებთ საბუთის გაგარებას;

03-10 საქონლის დეკომპლექტაცია

ფანჯარა 'მოძრაობა-წარმოება-ჩამოწერა' (ALT+SHIFT+M)

